# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

## განკარგულება

N 54 08
25/12/2018

**,,დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №46 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №46 08 განკარგულებაში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

# დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმა

| მიზანი | ამოცანა | საქმიანობა | საქმიანობის ინდიკატორი | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დმანისის მუნიციპალიტეტში შექმნილია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები | 1. გაძლიერდეს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმი | 1.1.1. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში უზრუნველყოფილია: საკრებულოს წევრების, ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ეთნიკური წარმომადგენლობის, მერიაში გენდერის საკითხზე პასუხისმგებელი პირის, მერიის შესაბამისი სამსახურების, დმანისის სოციალური მომსახურების სააგენტოსა და დმანისის რესურსცენტრის წარმომადგენელთა ჩართულობა. | 1.1.1. შესულია ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში | მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>მუნიციპალიტეტის მერია | | 2018 წ. |
| | | 1.1.2. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წ. 18 აგვისტოს N 17 დადგენილებით დამტკიცებული გენდერული თანსაწორობის საბჭოს დებულება მოყვანილია შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან | 1.1.2.ა. განსაზღვრულია საბჭოს შექმნის წარმომადგენლობითობა<br>1.1.2.ბ. დადგენილია საბჭოს მდივნის ფუნქციები<br>1.1.2.გ. გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომები რეგლამენტირებულია | მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | | 2018 წ. |
| | | 1.1.3. მომზადებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი | 1.1.3.ა.გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი | მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | | 2018 წ. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1.1.4. მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელია სამოქმედო გეგმის შემუშავება.<br><br>1.1.5. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა წარედგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად | 1.1.4.ა.შემუშავებულია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა<br><br>გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დოკუმენტი | მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო,<br><br>მრჩეველი გენდერულ საკითხებში, (მერია)<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018წ.<br><br>2018 წ. |
| | | 1.1.6. საკრებულოს ვებ-გვერდზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალების, კვლევების, პუბლიკაციებისა და ანალიტიკური მასალების, ასევე საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების/რეკომენდაციები ს პროაქტიული გამოქვეყნება უზრუნველყოფილია | 1.1.6ა. საკრებულოს ვებ-გვერდზე დამატებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს „ფანჯარა“<br>1.1.6.ბ. საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია საბჭოს საქმიანობის და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალები, კვლევები, პუბლიკაციები, ანალიტიკური მასალები, საბჭოს სხდომის ოქმები, გადაწყვეტილებები, რეკომენდაციები და ფოტო მასალა | მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო,<br><br>მუნიციპალიტეტის მერია | | 2018წ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **1.2.მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა** | 1.2.1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიის სამსახურებსა და და მის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა) იპ–ების საკადრო პოლიტიკაში გათვალისწინებულია გენდერული მიდგომები | 1.2.1. გამოქვეყნებულია დასაქმებულთა სქესის და თანამდებობრივი ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>მუნიციპალიტეტის დაქვენდებარებაში მყოფი ა(ა)იპ–ები | | 2018-2019 წ.წ. |
| | 1.2.3. საჯარო განხილვებსა და შეხვედრებზე გამოთქმული წინადადებების, მოსაზრებებისა და იდეების ანალიზის საფუძველზე მომხდარია მათი ასახვა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და სამართლებრივ აქტებში | 1.2.3.ა. გამოქვეყნებულია საჯარო შეხვედრების ოქმები<br>1.2.3.ბ. საჯარო განხილვების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები<br>1.2.3.გ. რეკომენდაციები ასახულია განხორციელებულ ღონისძიებებსა და მიღებულ სამართლებრივ აქტებში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | | 2018-2019 წ.წ. |
| **1.3. გენდერული სტატისტიკა დანერგილია** | 1.3.1. შემუშავებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროებისა და პროგრამების მიხედვით ასაკისა და გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმები და მეთოდები | 1.3.1ა. შემუშავებულია სტატისტიკური ინფორმაციის მოკრებისა და განახლების წესი<br>1.3.1.ბ. შემუშავებულია სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატიზაციის წესი<br>1.3.1.გ. შემუშავებულია სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობისა და გამოყენების ფორმები და მეთოდები | მუნიციპალიტეტის მერია,<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკის ბიურო | 2018 - 2019წ.წ. |
| | 1.3.2. შექმნილია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან /და მცხოვრები შშმპ პირთა,; სკოლის მოსწავლეთა, რომლებიც სწავლას წყვეტენ საბაზისო საფეხურის (9 კლასის )შემდეგ ; ბავშვების, რომლებსაც არ აქვთ დაბადების დამადასტურებელი მოწმობები და არ ირიცხებიან არც ბაღში და არც სკოლაში და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სქესის ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა, ხდება მისი პერიოდული | 1.3.2.ა. შექმნილია სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა გენდერულ ჭრილში<br>1.3.2.ბ. პერიოდულად ახლდება სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო დმანისის რაიონული განყოფილება | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | განახლება | | | | |
| | 1.3.3.უზრუნველყოფილია გენდერული თანასწორობის შესახებ საინფორმაციო ბაზის ხელმისაწვდომობა | 1.3.3.ა. საინფორმაციო ბაზა განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე | მუნიციპალიტეტის მერია<br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | | 2018-2019 წ.წ. |
| | 1.3.4. მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით გაანალიზებულია საინფორმაციო ბაზა საჭიროებების გამოვლენის, გასატარებელი ღონისძიებების და მუნიციპალური პროგრამების შესამუშავებლად | 1.3.4.ა. შემუშავებული საინფორმაციო სტრატეგია<br>1.3.4.ბ. გამოქვეყნებულია ანალიზის ანგარიშები და დასკვნები<br>1.3.4.გ. გამოვლენილი საჭიროებები ასახულია მუნიციპალურ პროგრამებში | მუნიციპალიტეტის მერია<br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | 1.3.5. მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის ჩატარებულია ტრენინგები ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის ფორმების და მეთოდების, აგრეთვე საინფორმაციო ბაზის ანალიზის საკითხებზე | 1.3.5.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია | | 2018-2019 წ.წ. |
| | | | | | |
| **1.4. ჩამოყალიბებულია სამართლებრივი აქტების გენდერული ანალიზის სისტემა** | 1.4.1. ჩამოყალიბებულია მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების გენდერული ანალიზის სისტემა | 1.4.1.ა. მიღებულია გადაწყვეტილება ყველა სამართლებრივი აქტის პროექტების გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით გაანალიზების შესახებ.<br>1.4.1.ბ. განხილული სამართლებრივი აქტების პროექტების რაოდენობა | მუნიციპალიტეტის მერია<br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018 წ. |
| **1.5.ჩამოყალიბებულია სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი** | 1.5.1 შემუშავდეს და დაინერგოს სამოქმედო გეგმისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა | 1.5.1.მიღებული იქნეს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი | მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019წ.წ. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1.5.2.ჩატარებულია საბჭოს საქმიანობის შესახებ და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის პროექტის პრეზენტაცია მერიის და საკრებულოს თანამშრომლებისათვის | 1.5.2. პრეზენტაციის მონაწილეთა სია ანგარიშის პროექტის განხილვისას გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები (გამოკითხვა მოსდახლეობისგან რას ელიან საბჭოსგან?), პრობლემები | მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018წ. |
| | | 1.5.3. მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმაში შეტანილი იქნეს ცვლილებები | 1.5.3. მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში ასახული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნეს ახალ სამოქმედო გეგმაში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2019წ. |
| | 1.6. გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება | 1.6.1. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის ჩატარებულია სპეციალური ტრენინგები გენდერული თანასწორობის, ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის გაეროს უშიშორების საბჭოს რეზოლუცია N1325 - ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გენდერულ მეინტრიმინგზე, გენდერულ ბიუჯეტირებაზე, გენდერულ სტატისტიკაზე, | 1.6.1.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში<br>1.6.1.ბ. ჩატარებული ტრენინგების თემატიკის რაოდენობა | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 1.6.2. გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი და გენდერული თანასწორობის საბჭოს რამდენიმე წევრი გადამზადებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე ეროვნული რეფერალური მექანიზმების შესახებ საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად | 1.6.2.ა. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა<br><br>1.6.2.ბ. ტრენინგში მონაწილეთა მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1.6.3. მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები გენდერული თანასწორობის საკითხებზე | 1.6.3.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში<br>1.6.3.ბ. ჩატარებული ტრენინგების თემატიკის რაოდენობა | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 1.6.4. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა ცნობიერების ასამაღლებლად ჩატარებულია ტრენინგები გენდერული თანასწორობის პრინციპებზე | 1.6.4.ა. გენდერული სახელმძღვანელოს გამოყენებით ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა<br>1.6.4.ბ. ჩატარებული ტრენინგების თემატიკის რაოდენობა | მუნიციპალიტეტის მერია | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 1.6.5ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გენდერული მგრძნობელობის ასამაღლებლად | 1.6.5.ა. შეხვედრების რაოდენობა<br>1.6.4.ბ. შეხვედრებზე განხილული თემები<br>1.6.4.გ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 1.6.5. ორგანიზებულია საინფორმაციო შეხვედრები თემაზე - ქალთა უფლებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა. ადრეული ქორწინება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მოხუცებულთა, ბავშვთა უფლებები და სხვა. სამიზნე ჯგუფებთან: მერის წარმომადგენლები, ბაღის პედაგოგები, სკოლის მასწავლებლები, მერიას დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები | 1.6.5.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა.<br>1.6.5.ბ. შეხვედრებში მონაწილე პირთა რაოდენობა<br>1.6.5.გ. სამიზნე ჯგუფების რაოდენობა<br>1.6.5.დ. შეხვედრების დღის წესრიგი და მასალა | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 1.6.6. გატარებულია ღონისძიებები დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერულად დაბალანსებული შემადგენლობის ხელშესაწყობად | 1.6.6. ა. საკონკურსო კომისიასა და მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში განხორციელებულია ცვლილება გენდერული კუთხით<br><br>1.6.6.ბ. საჯარო სამსახურში მიღებისა და კარიერულ წინსვლაში გათვალისწინებულია გენდერული პარამეტრები; | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | | 2018-2019 წ.წ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1.6.6.გ. ხდება თანამშრომელთა გენდერული სტატისტიკის წარმოება | | | |
| | 1.6.7. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გააჩნიათ თანამშრომლებს შორის დისკრიმინაციის დაუშვებლობის პოლიტიკა | 1.6.7.ა. საკრებულოსა და მერის მიერ მიღებულ შრომის შინაგანაწესებში გაწერილია ორგანიზაციის პოლიტიკა თანამშრომლებს შორის დისკრიმინაციის, ნებისმიერი ფორმით ძალადობის და მათ შორის სექსუალური შევიწროების დაუშვებლობის შესახებ; 1.6.7.ბ. ორგანიზაციის თანამშრომლები იცნობენ საქართველოს მთავრობის დადგენილება N200 – საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ დოკუმენტს და შესაბამისად ინფორმაცია აქვთ ამავე დოკუმენტის 15-ე მუხლთან დაკავშირებით.<br>1.6.7.გ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის თანამშრომლების 70 %-ს გავლილი აქვს სახალხო დამცველის საიტზე განთავსებული ელექტრონული კურსი „სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე“ | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>მრჩეველი გენდერულ საკითხებში (მერია)<br><br>გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები<br><br>სახალხო დამცველის აპარატი | 2018 წ. |
| | | | | | |
| 1.7. გაძლიერებულია თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მეწარმე სუბიექტებთან და | 1.7.1. შექმნილია სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების განსაკუთრებით ქალთა არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა | 1.7.1. შექმნილი და გამოქვეყნებულია ორგანიზაციების მონაცემთა საინფორმაციო ბაზა | მუნიციპალიტეტის მერია<br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სხვა დაინტერესებულ პირებთან | 1.7.2. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულია შეხვედრები მათ შორის მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური საჭიროებების დადგენის მიზნით; | 1.7.2.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>1.7.2.ბ. შეხვედრებში მონაწილე ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეთა რაოდენობა | მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო<br><br>მერიის სოციალური სამსახური | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 1.7.3. გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულია სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში | 1.7.3.ა. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოში მოწვეულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების რაოდენობა<br>1.7.3.ბ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების საჯარო განხილვა | მუნიციპალიტეტის მერია<br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 1.7.4. სამოქალაქო სექტორის, მეწარმე ქალებისა და ქალთა და გოგონათა მიმართულებით მომუშავე მეწარმეებთან ჩატარებულია შეხვედრები მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პრობლემატურ საკითხებზე | 1.7.4.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>1.7.4.ბ. გამოვლენილი პრობლემები და საჭიროებები<br>1.7.4.გ. შეხვედრებში მონაწილე რაოდენობა გენდერულ ჭრილში<br>1.7.4.დ. გამოვლენილი საჭიროებები ასახულია მომდევნო სამოქმედო გეგმაში | მუნიციპალიტეტის მერია<br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები<br><br>ადგილობრივი მეწარმეები ქალთა ჯგუფები | 2018-2019 წ.წ. |
| **მიზანი** | **ამოცანა** | **საქმიანობა** | **საქმიანობის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი უწყება** | **პარტნიორი უწყება** | **შესრულების ვადა** |
| 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მუნიციპალური პროგრამები და პროექტები დაგეგმილია და განხორციელებულია ქალების და კაცების, ბიჭების და გოგონების საჭიროებების გათვალისწინებით | 2.1. დანერგილია გენდერული ბიუჯეტი | 2.1.1. ჩატარებულია ტრენინგი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებაში ჩართულ პირებისათვის გენდერული ბიუჯეტის თემაზე. | 2.1.1.ა. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა<br><br>2.1.1.ბ. ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018 წ. |
| | | 2.1.2. ჩატარებულია მუნიციპალიტეტის ბოლო ერთი წლის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი | 2.1.2.ა. ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები<br>2.1.2.ბ. ანალიზის შედეგები გამოქვეყნებულია | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018 წ. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2.1.3. უზრუნველყოფილია ბიუჯეტის პროექტის მომზადების გამჭვირვალობა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში საზოგადოების ჩართულობა | 2.1.3.ა. ჩატარებულია ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვები/გამოკითხვები.<br>2.1.3.ბ. ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვების/გამოკითხვების და მათში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018 წ. |
| | 2.2. მუნიციპალურ პროგრამათა პრიორიტეტები განსაზღვრულია გენდერული ასპექტის გათვალისწინებით | 2.2.1. ჩატარებულია პრიორიტეტების და მუნიციპალური, მათ შორის სოციალური პროგრამების ანალიზი გენდერული ასპექტების გათვალისწინებითა და მოსახლეობის ჩართულობით | 2.2.1.ა. ჩატარებული ანალიზი<br>2.2.1.ბ. ჩატარებული შეხვედრების შედეგები<br>2.2.1.გ. დადგენილი პრიორიტეტები<br>2.2.1.დ. პრიორტიტეტები ასახულია მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018 წ |
| | 2.3. შემუშავებულია კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობისა და შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის, განათლების | 2.3.1. ჩატარებულია კულტურის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა, გენდერულ ჭრილში და მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები | 2.3.1.ა. კულტურის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები<br>2.3.1.ბ. რეკომენდაციები ასახულია მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | თანაბარი ხელმისაწვდომობისა და გენდერულად ორიენტირებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის პოლიტიკა | 2.3.2. მუნიციპალიტეტისადმი დაქვემდებარებულ სკოლამდელ დაწესებულებებში საჭიროებების შესწავლის მიზნით ჩატარებულია არსებული მდგომარეობის ანალიზი გენდერულ ჭრილში და მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები | 2.3.2.ა. სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებში ჩატარებული ანალიზის ანგარიში და რეკომენდაციები<br>2.3.2.ბ. რეკომენდაციები ასახულია მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | 2.4. შემუშავებულია გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა | 2.4.1. გენდერულ ჭრილში ახალგაზრდების საჭიროებების დადგენის მიზნით ახალგაზრდებთან შეხვედრების ჩატარება | 2.4.1.ა. ჩატარებული შეხვედრების და მათში მონაწილეთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით და გენდერულ ჭრილში<br>2.4.1.ბ. მიღებული რეკომენდაციები<br>2.4.1.გ. რეკომენდაციები ასახულია მუნიციპალურ პროგრამებში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2.4.2. „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015-2020 წ.წ.)“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის N349 განკარგულების შესაბამისად მომზადებულია რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან ახალგაზრდული სათათბიროების ამოქმედების შესახებ | 2.4.2.ა. მიღებული გადაწყვეტილება ახალგაზრდული სათათბიროების შექმნის შესახებ<br>2.4.2.ბ. სათათბირო დაკომპლექტებულია განსხვავებული სქესით არანაკლებ 40% –ისა<br>2.4.2.გ. ჩამოყალიბებულია ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ჩართულია მუნიციპალიტეტის პროგრამების და პოლიტიკის ფორმირების პროცესში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | **2.5.უზრუნველყოფილია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება** | 2.5.1. ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად ჩატარებულიაგენდერულ ჭრილში სპორტის სახეობათა საჭიროებების და გენდერული ასპექტების გათვალისწიენბით სპორტის განვითარებაზე დახარჯული ბიუჯეტის ანალიზი | 2.5.1.ა. საჭიროებების და სპორტის განვითარებაზე დახარჯული ბიუჯეტის ანალიზი<br>2.5.1.ბ. ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები<br>2.5.1.გ. რეკომენდაციების ასახვა ბიუჯეტსა და მუნიციპალურ პროგრამებში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 2.5.2. ანალიზის საფუძველზე შემუშავებული და განხორციელებულია გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამები და დაგეგმილია მომდევნო წლის სპორტული ღონისძიებები | 2.5.2.ა. მიღებული და განხორციელებული გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამები<br>2.5.2.ა. პროგრამებით მოსარგებლეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 2.5.3. სპორტულ ცხოვრებაში გოგონათა და ქალთა ჩართულობის პოპულარიზაცია | 2.5.3.ა. მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულია შეხვედრა სადაც წარმოჩინებულია წარმატებული ქალი სპორტსმენები | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს განათლების, მეცნიეერებისს, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. არასამთავრობო | 2018-2019 წ.წ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ორგანიზაციები | |
| **2.6 ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში შემუშავებული და განხორციელებული ა გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამები** | 2.6.1. ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ჩატარებულია მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა გენდერულ ჭრილში. | 2.6.1.ა. ჩატარებული კვლევის ანგარიში<br>2.6.1.ბ. კვლევის საფუძველზე მომზადებულია რეკომენდაციები<br>2.6.1.გ. რეკომენდაციები ასახულია მუნიციპალურ პროგრამებში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდა ნ იძულებით გადაადგილებუ ლ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | 2.6.2. ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ჩატარებულია მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამების გენდერული ანალიზი | 2.6.2.ა. ჩატარებული ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები<br>2.6.2.ბ. რეკომენდაციების ასახლა მოქმედ მუნიციპალურ პროგრამებში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდა ნ იძულებით გადაადგილებუ ლ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისსამინისტ რო<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | 2.6.3. ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე მომზადებულია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროგრამები მაგ. სახელმწიფო სკრინინგის პროგრამა და სხვა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანადაფინანსების გასათვალისწინებლად | 2.6.3.ა. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში მომზადებულია გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამები | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდა ნ იძულებით გადაადგილებუ ლ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისსამინისტ რო | 2018-2019 წ.წ. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| 2.7. სოფლად მცხოვრები, მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების მიზნით გათვალისწინებული მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას გენდერული ასპექტები | 2.7.1. შესწავლილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირების საჭიროებები გენდერულ ჭრილში | 2.7.1.ა. მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირების წარმომადგენლებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>2.7.1.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში<br>2.7.1.გ. ჩატარებული საჭიროებათა კვლევის ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისსამინისტრო<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | 2.7.2. საჭიროებათა შესწავლის საფუძველზე მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების მიზნით შემუშავებულია და ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალური პოლიტიკა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით | 2.7.2.ა. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ ორგანიზებული აქტივობების რაოდენობა მოწყვლადი, სოციალურად დაუცველი ჯგუფების ჩართულობით, მათი სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით<br>2.7.2.ბ. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ ორგანიზებული აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისსამინისტრო<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | 2.7.3. მოწყვლადი, სოციალურად დაუცველი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების მიზნით ამ ჯგუფების | 2.7.3.ა. კატეგორიათა მიხედვით მომზადებული მუნიციპალური პროგრამები | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის | | 2018-2019 წ.წ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კატეგორიათა მიხედვით მომზადებულია მუნიციპალური პროგრამები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად | 2.7.3.ბ. ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები და მათი წილი ბიუჯეტის საერთო ხარჯებში | საკრებულო | | |
| | 2.7.4. სოფლად მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული ქალების, სოციალურად დაუცველი და მიგრანტი ოჯახების ეკონომიკური გაძიერებისათვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო, სამეურნეო და სხვა სახის პროგრამები | 2.7.4.ა. სოფლად მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული ქალების, სოციალურად დაუცველი და მიგრანტი ოჯახების წარმომადგენელთა სახელოვნებო- შემოქმედებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობა გაზრდილია<br>2.7.4.ბ. მოწყვლადი, და სოციალურად დაუცველი ჯგუფები ჩართულები არიან სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| 2.8. შემუშავებულია და განხორციელებული ა გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები და ღონისძიებები | 2.8.1. ჩატარებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების საჭიროებათა კვლევა გენდერულ ჭრილში. გამოვლენილია პრიორიტეტული პროფერსიები, ასევე საჭიროებები ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად, შემუშავებულია და განხორციელებულია შესაბამისი (საგანმანათლებლო, პრაქტიკული უნარების განვითარების) პროგრამები | 2.8.1.ა. საჭიროებათა კვლევის შედეგები და რეკომენდაციები პრიორიტეტული პროგრამების შესახებ<br>2.8.1.ბ. გამოვლენილი პრიორიტეტული პროფესიების ერთიანი საინფორმაციო ბაზა<br>2.8.1.გ. მიღებული და განხორციელებული შესაბამისი პროგრამები | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | არასამთავრობო ორგანიზაციები<br><br>სასწავლო–საგანმანათლებლო რეგიონული და ადგილობრიივი დაწესებულებები | 2018-2019 წ.წ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 2.8.2. მოსახლეობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაციით | 2.8.2.ა. მომზადებულია სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო პაკეტი<br>2.8.2.ბ. მომზადებულია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაცია<br>2.8.2.გ. ინფორმაცია გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, დაბეჭდილია და გავრცელებულია საინფორმაციო ბუკლეტი, მომხმარებლებთან თემში შეხვედრების დროს | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | 2.8.3. ქალთა ეკონომიკური აქტივობის ხელშესაწყობად ორგანიზებულია წარმატებული ფერმერი ქალების შეხვედრები სოფლად მცხოვრებ ქალებთან გამოცდილების გაზიარების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უპირატესობების ჩვენებისა და მათი შექმნის ხელშესაწყობად | 2.8.3.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>2.8.3.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 2018-2019წ.წ. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2.8.4. მუნიციპალიტეტის დასახლებებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების შესაქმნელად ლიდერ ქალთა გამოვლენა | 2.8.4.ა. სოფლებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა ლიდერ ქალთა გამოსავლენად.<br>2.8.4.ბ. გამოვლენილ ლიდერ ქალთა რაოდენობა | მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019წ.წ. |
| | | 2.8.5. წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო მიწასა და უძრავ ქონებაზე თანაბარი წვდომის, მემკვიდრეობითი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიები | 2.8.5.ა.ცნობიერების ამაღლების კამპანიების რაოდენობა | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო,<br><br>გენდერული თანასწორობის საბჭო | | 2018-2019 წ.წ. |
| 3. გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერება გაზრდილია | 3.1. ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის გამჭვირვალეობის და მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა | 3.1.1. შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან და ანგარიშის წარდგენა თუ რას საქმიანობს ადგილობრივი თვითმმართველობა, რა პროექტები განხორციელდა ან განხორციელდება, რა უფლებები აქვთ და რისი მოთხოვნა შეუძლიათ თვითმმართველობისთვის. | 3.1.1.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>3.1.1.ბ. შეხვედრებზე მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია,<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 3.1.2. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსახლეობასთან გენდერულ საკითხებზე დისკუსიების ჩატარება | 3.1.2.ა. ჩატარებული დისკუსიების რაოდენობა<br>3.1.2.ბ. დისკუსიებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია,<br><br>მუნიციპალიტეტის<br><br>საკრებულო<br><br>გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | |
| | | 3.1.3 შეხვედრები იძულებით გადაადგილებულ პირებთან და ეკომიგრანტებთან საჭიროებების | 3.1.3 ა ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>3.1.3 ბ შეხვედრებში მონაწლეთა | მუნიციპალიტეტის მერია, | | 2018-2019 წ.წ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | კვლევის მიზნით, გენდერულ ჭრილში. | სია | მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>გენდერული თანასწორობის საბჭო | | |
| | **3.2. დაგეგმილია და ჩატარებულია მიზნობრივი პროგრამები და ღონისძიებები გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისთვის** | 3.2.2. ორგანიზებულია ქალთა უფლებების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ცნობილი კულტურისა და სპორტის წარმატებული ადამიანების მონაწილეობით სხვადასხვა კამპანიები, თემის პოპულარიზაციის მხარდასაჭერად | 3.2.2.ა. მუნიციპალიტეტში ჩატარებული ღონისძიებები ქალების დღის აღსანიშნავად;<br>3.2.2.ბ. სოფლად მცხოვრები ფერმერი ქალებისათვის ღონისძიების გამართვა სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად<br>3.2.2.გ. დაგეგმილი კამპანიების რაოდენობა და მასში მონაწილე ცნობილი სახეების რაოდენობა | მუნიციპალიტეტის მერია,<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 3.2.3 ადრეული ქორწინების პრევენციის ხელშეწყობა | 3.2.3 ა ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან; | გენდერული თანასწორობის საბჭო | დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი | 2018-2019 წ.წ |
| | | 3.2.4 შერჩეულ ადმინისტრაციულ ერთეულში (სადაც განსაკუთრებით ხშირია ადრეული ქორწინების პრაქტიკა) თემის მობილიზება ადრეული ქორწინების პრევენციისთვის, მათ შორის თემისა და რელიგიური ლიდერების ჩართვა | 3.2.4 სოლებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა | გენდერული თანასწორობის საბჭო<br><br>მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში | | 2018-2019 წ.წ |
| | | 3.2.5. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებულად დაგეგმილია და განხორციელებულია კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები: გამოფენები, ფილმის ჩვენება და დისკუსია | 3.2.5.ა. ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა<br>3.2.5.ბ. ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | 3.2.6 მოძიებული და გაშუქებულია მუნიციპალიტეტში დაბადებული და | 3.2.6.ა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოქვეყნებული | მუნიციპალიტეტის მერია | არასამთავრობო | 2018-2019 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მოღვაწე წარმატებული ქალების ისტორიები. (მაგ. ქ. დმანისის ერთ ქუჩას მიენიჭა წარმატებული ქალის სახელი) | წერილებისა და სტატიების რაოდენობა<br>3.2.6.ზ. .ზ. საკრებულოს განკარგულება ერთ-ერთი ქუჩისთვის წარმატებული ქალის სახელის მიენიჭების შესახებ | მუნიციპალიტეტის საკრებულო | ორგანიზაციები | წ.წ. |
| **3.3. მოსახლეობის ინფორმირებულობა გაზრდილია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე, მის ფორმებზე და სახელმწიფოში არსებულ ეროვნულ რეფერალურ მექანიზმებზე** | 3.3.2. ჩატარებულია მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში | 3.3.2.ა. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>3.3.2.ბ. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებულ შეხვედრებზე მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018 წ. |
| | 3.3.3. ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ჩატარებულია შეხვედრები და დისკუსიები მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში | 3.3.3.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>3.3.3.ბ. შეხვედრებზე განხილული საკითხების რაოდენობა და ჩატარების სახეები (საინფორმაციო შეხვედრა, საჯარო დისკუსია, ფილმის ჩვენება, ქალთა გაძლიერების წარმატებული მაგალითები)<br>3.3.3.გ. ჩატარებულ შეხვედრებზე მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | 3.3.4. მომზადებულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე საინფორმაციო სტრატეგია | 3.3.4.ა. მიღებული საინფორმაციო სტრატეგიის დოკუმენტი | მუნიციპალიტეტის მერია<br>მუნიციპალიტეტის საკრებულო<br>გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | 3.3.5. უზრუნველყოფილია ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება | 3.3.5.ა. სტატიების რაოდენობა გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების და თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ მუნიციპალიტეტის ვებ–გვერდზე განთავსებული | მუნიციპალიტეტის მერია,<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | ადგილობრივ და რეგიონულ მედია საშუალებები | 2018-2019 წ.წ. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ინფორმაცია | | | |
| | | 3.3.6. კვლევებისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილ თემებზე ორგანიზებულია ტრენინგების ჩატარება მიზნობრივ ჯგუფებში | 3.3.6.ა. კვლევებისა და ანალიზის შედეგები<br>3.3.6.ბ. ანალიზის შედეგად გამოვლენილი თემები<br>3.3.6.გ. ჩატარებული ტრენინგების და მათში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში | მუნიციპალიტეტის მერია<br>მუნიციპალიტეტის საკრებულო გენდერული თანასწორობის საბჭო | არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | **3.4. დაგეგმილია და გატარებულია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიებები** | 3.4.1. ადრეული ქორწინების პრევენციის ხელშესაწყობის, ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვისა და სკოლაში დაბრუნების, ასევე ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფითი მხარეებისა და რეაგირების პროცედურების სავალდებულო შესრულების შესახებ ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები | 3.241.ა. ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა<br>3.4.1.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში<br>3.4.1.გ. შეხვედრებზე გამოყენებული მასალები (კინო ჩვენება და დისკუსია)<br>3.4.1.დ.სამიზნე ჯგუფების რაოდენობა:<br>სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, მანდატურები, მშობლები, სოციალური მუშაკები, უბნის ინსპექტორები | მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მუნიციპალიტეტის საკრებულო | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო<br><br>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სახალხო დამცველი<br><br>არასამთავრობო ორგანიზაციები | 2018-2019 წ.წ. |
| | | | | | | |

ბიუჯეტი

| ღონისძიებათა დასახელება | 2019 წლის გეგმა/ადგილობრივი ბიუჯეტი |
|---|---|
| ტრენინგები სხვადასხვა თემებზე | 4500 ლარი |
| სოფლებში საინფორმაციო ტიპის შეხვედრების ორგანიზება (ეთნიკურ უმცირესობებთანაც, ყავა, ჩაი, ტკბილეული), ლიდერ ქალთა გამოვლენა | 1000 ლარი |
| საინფორმაციო ტიპის შეხვედრები ახალგაზრდებთან (ადრეული ქორწინების პრევენციის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვა სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე თემებთან დაკავშირებით). | 1000 ლარი |
| ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება სოფლად მცხოვრები ქალებისათვის (სიმბოლური ფასიანი საჩუქრების გადაცემა) | 3500 ლარი |
| სულ | 10000 ლარი |
| | |
| | |